

შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი“

2020 წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი“ ემსახურება ხუთ სოფელს (ლიხაური, შემოქმედი, ვაკიჯვარი, ასკანა) მგზავრთა გადაყვანას დაბალი ტარიფებით. ასევე ემსახურება ორ დაბას (ლაითური, ნარუჯა) საჯარო სკოლის პედაგოგების გადაყვანას.

2020 წელს ბიუჯეტი დაგვიმტკიცდა 86 000 ლარით, სულ მიღებული გვაქვს 79 581 ლარი, აქედან, ხარჯები გადანაწილდა შემდეგნაირად: შრომის ანაზღაურება 21 450 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 13 973 ლარი, ტრანსპორტის ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი 28 578 ლარი, საწვავ-საპოხი მასალების შეძენა 16 770 ლარი, მიმდინარე რემონტის ხარჯი 4 950 ლარი, სათადარიგო ნაწილების შესაძენად 4 139 ლარი, ტრანსპორტით მომსახურეობისათვის 2 179 ლარი. ოფისის ხარჯი 2 015 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა 9 086 ლარი.

გარდა ამისა, ტრანსპორტით მომსახურეობა გაეწია ივნისის თვეში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, კერძოდ, შეკვეთილის ტერიტორიაზე დასუფთავების აქციაზე მუნიციპალიტეტის თანამშრომლების გადაყვანას. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კურორტ გომის მთაზე რეგიონალური ფესტივალი „არტ გენი“ს დასკვნით ღონისძიებაზე მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლების გადაყვანას, ბრენდული ავტობუსის გამოყენებით საინფორმაციო ტურისტული შეხვედრების მოწყობას ურეკი შეკვეთილის ტერიტორიაზე არსებული დასასვენებელი და გასართობი ლოკაციების მიმდებარედ.

ქვეყანაში არსებული პანდემიიდან გამომდინარე წარმოგვეშვა იძულებითი ეკონომია 3 400 ლარის ოდენობით, ჩვენს მიერ მოწვეული იქნა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურო ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესამოწმებლად, რითაც

დაგვიდგინდა საწვავის ხარჯვის ნორმები გავლილ მანძილზე. აქედან გამოთავისუფლებულმა თანხამ შეადგინა 4 210 ლარი. აღნიშნული თანხები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თნხმობის საფუძველზე გამოყენებული იქნა ავტოსადგომის კეთილმოწყობის მიზნით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის
შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტის“

დირექტორი:
ა. გოგოტიშვილი